



ოზურგეთში ტრიქინელოზი დაფიქსირდა

ალიონი. სურსათის ეროვნულმა სააგენტომ 27 იანვარს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრიდან მიიღო შეტყობინება ტრიქინელოზის დადასტურებული შემთხვევის შესახებ. აღნიშნულის შესახებ სურსათის ეროვნული სააგენტოს განცხადებაშია აღნიშნული.



სააგენტოს განცხადებით, შეტყობინების თანახმად, **ოზურგეთის** მუნიციპალიტეტის სოფელ **ოზურგეთში** მცხოვრებ 63 წლის პაციენტს დაავადების კლინიკური ნიშნების გამოვლენამდე რამდენიმე დღით ადრე საკვებად მიღებული აქვს **ოზურგეთში** ნაყიდი ღორის ხორცი და კუპატი (ხორცი მიიღო **ნგ-ს** ოჯახის სხვა წევრმაც, თუმცა ამ დროისთვის მათ დაავადების ნიშნები არ აღინიშნება).

ნავე, რეაგირებისთვის ინფორმაცია მცისიერად გავუზავნა გურიის რეგიონულ სამმართველოს და ვეტერინარიის დეპარტამენტს. სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტებმა მოკვლევა უკვე დაიწყეს, – აღნიშნულია განცხადებაში.

„დაავადებული პირი ხორცის და სურსათის გამყვანების ვინაობას ვერ ასახელებს. შეტყობინების მიღებისთანავე, რეაგირებისთვის ინფორმაცია მცისიერად გავუზავნა გურიის რეგიონულ სამმართველოს და ვეტერინარიის დეპარტამენტს. სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტებმა მოკვლევა უკვე დაიწყეს“ – აღნიშნულია განცხადებაში.

სააგენტო მოუწოდებს მომხმარებელს, არ შეიძინონ ხორცი არა-






ა ღ ი რ ი ნ ი

გურია
უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ე ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გ ა ზ ე თ ი .
 ყოველკვირეული გამოშვება. № 2 (10488) 30 იანვარი, 2025 წ. უსასი 1 ლპრი.

ოზურგეთელი საბა მამალაძე საქართველოს ჩემპიონია!



ქვეყრში ბერძულ-რომაულ ჭიდაობაში 23 წლამდეელთა შორის საქართველოს პირველობა გაიმართა. საქართველოს პირველობაზე წარმატებით იასპარეზა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებაში გაერთიანების, ბერძულ-რომაულ ჭიდაობის სექციის სპორტსმენმა **საბა მამალაძემ**. საბამ 82 კგ წონით კატეგორიაში იასპარეზა, ჩემპიონატის ყველა ბრძოლა მოიგო და

ჩემპიონის ტიტული და ოქროს მედალი მოიპოვა! მწვრთნელები: **გურამ მაჭარაშვილი, უჩა მჭავანაძე**. საქართველოს ჩემპიონატზე 23 წლამდეელთა შორის ბრინჯაოს პრიზიორებიც გვყავს! ოზურგეთელმა ფალავნებმა **ლუკა ჯავახაძემ** (55 კგ; მწვრთნელი **კახაბერ აბაშიძე**) და **ნიკა ღლონტმა** (72 კგ; მწვრთნელი **გურამ მაჭარაშვილი**) ორი ბრინჯაო აიღეს.

„ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების პროგრამული მუხლები პირდაპირ გაეზიარა მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების საჭიროებისაგან“

ალიონი. მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების პროგრამული მუხლები პირდაპირ გაეზიარა მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების საჭიროებისაგან, თითქმის არ რჩება შესაბამისი საჭიროების მქონე მოწყვლადი კატეგორიის მხარდაჭერასაც ვერ ვახორციელებდით – განაცხადა საკრებულოს სხდომაზე მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსმა **მაიზერ ცულაძემ**. 2017 წელს ბიუჯეტით განსაზღვრული იყო 930 900 ლარი; 17 პროგრამული მუხლით მომართვიანობა შეადგენდა 3801; 2024 წელს კი ბიუჯეტით განსაზღვრული იყო 2 589 600 ლარი და 19 პროგრამული მუხლით მომართვიანობა შეადგენდა –6525. ონკოლოგიურად დაავადებული პირების დახმარების პუნქტის დემატა შემდეგი ქვეპუნქტი –თუქს კობის დაიგნოზის მქონე პირთა ძვირადღირებულ მედიკამენტებს დემატა აუთვისებანი სიმსივნის მქონე პირებისათვის მედიკამენტის (ზომეტა) თანადაფინანსება, წლის განმავლობაში 1000 ლარის ოდენობით ასევე კეთილთვისებიანი – სიმსივნით, ან დაუდგენელი დიაგნოზის მქონე პირებისათვის (სამედიცინო მომსახურება, გამოკვლევები), საქართველოს ტერიტორიულ რეგისტრირებულ სამედიცინო დაწესებულებებში, სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაში თანადაფინანსება. მუნიციპალიტეტი წელიწადში ერთხელ, ექიმის დანიშნულებით, მოთხოვნის შესაბამისად ონკო-

ლოგიურად დაავადებულ პირებს უფინანსებს პოზიტრონ-უმისოური ტომოგრაფიის თანადაფინანსებას 70 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 2500 ლარისა. შშმ პირთა დახმარების პროგრამულ მუხლს დამატა ქვეპუნქტი – დღის ცენტრებისა და რეაბილიტაცია-აბილიტაციის პროგრამებში ჩართულ ბავშვთა ტრანსპორტირების ხარჯების სრული, ან ნაწილობრივი ანაზღაურება. ასევე მიეცათ შესაძლებლობა 18 წელს ზემოთ ასაკის მქონე შშმ პირებს მიეღოს ქვეპროგრამით გათვალისწინებული სხვა პუნქტობრივი დახმარება. მოქალაქეთა სამედიცინო დახმარების პროგრამული მუხლით (სარეიტინგო ქულა 0-დან 150 001-მდე) მედიკამენტებისა და სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება. დამხარება გაეწია 1720 მოქალაქეს – 323 622 ლარით. იმ პირებს, რომლებიც ჩართული არიან დიალექსის სახელმწიფო პროგრამაში კვარტალში ერთხელ მიეცათ ფულადი დახმარება – ქალაქად მცხოვრებს 300 ლარის ოდენობით, ხოლო სოფლად მცხოვრებს –350 ლარის ოდენობით. დახმარება გაეწია 44 ბენეფიციარს თანხით 52 850 ლარი. ონკოლოგიურად დაავადებულ პირებს (611 მოქალაქე) სამედიცინო დაწესებულებებში, მედიკამენტებისა და სამედიცინო მომსახურების ხარჯების თანადაფინანსებისათვის ჩაერიცხათ – 254 263 ლარი. გადაუდებელი და არაპროგრამული რევერალური სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებისათვის დახმარება გაეწია 594 მოქალაქეს –189 673 ლარით.



ძვირადღირებული კვლევების პროგრამით: ვეტერანებს, მნიშვნელოვანდ გამოსატვლი შშმ სტატუსის მქონე პირებს და შშმ ბავშვებს, ასევე სოციალური ქულის მქონე 171 მოქალაქეს გაეწია დახმარება თანხით –76 256 ლარით. დღის ცენტრის დაფინანსების პროგრამით, რომელიც გულისხმობს 6-დან 18 წლამდე ბავშვების თანადაფინანსებას, „მომავლის სხვისი“ დღის ცენტრის ბენეფიციარები საკურორტო სეზონზე დაფინანსდა 51 000 ლარით. კვარტალში ერთხელ 500 ლარის ოდენობით ფინანსდება დემამით ობოლი 6-დან 18-წლამდე ასაკის ბავშვები. (დახმარება გაეწია 4 ბავშვს 7 500 ლარის ოდენობით) ასევე დახმარება გაეწია შესაბამისი სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციებში (ასოციაცია „გურია“, „ოჯა ქვარი“, „ლაზიკა მედი“, ადრული განვითარების ცენტრი, „ადაპტი“ და სხვა) ბენეფიციარებს 286 150 ლარის ოდენობით. 11 600 ლარით დაეხმარნენ

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ 58 მოქალაქეს. უსახლკაროდ დარჩენილ 1230 ოჯახს გაეწია 481 462 ლარით დახმარება. სხვა დახმარებებიდან გამოყოფილი მზრუნველობამოკლებულთა ყოველდღიურ ერთჯერად კვებას. ამ პროგრამით 180 მოქალაქეზე წლიურად 200 000 ლარი იხარჯება. ოზურგეთში, სანდახმართო სახლში მყოფი ბენეფიციარების მომსახურების სუფსიდიორების დაფინანსების უზრუნველყოფის სახით და საქველმოქმედო ფონდ „კარიტასი“ თანადაფინანსება თანხით 29 000 ლარი. სოციალურად შეჭირვებულ ოჯახებში (0-დან 1 წლამდე) ბავშვების მოვლისათვის საჭირო საგნების შესატყვად (სარეიტინგო ქულა 0-დან 70 001-მდე) ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 150 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 200-200 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 400 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 400 ლარი ღირს;
- შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 70 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 30ლარი;
- სამელოვიარო განცხადება - სიტყვა 30 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 80 თეთრი, ხელმოწერა:
ერთი თვით - 3,20 ლარი, სამი თვით - 9,60 ლარი, 6 თვით -16 ლარი, ერთი წლით - 32 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში უდიდესი სიზუსტით ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაგვრდა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო მომსახურება
რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
 nugzarasatiani15@gmail.com
 558 499100
კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
 gia_77@mail.ru
 551 576060
 რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. №3
 ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
 გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“
 მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი მიზნობრივი აქტივობა
«ალიონი»

სამსახურის ანგარიში დადებითად შეაფასეს



ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის პირველ სხდომაზე მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ასალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში **ქეთევან კვაჭანტირაძე** წარმოადგინა.

ამ ანგარიშმა იმით მიიპყრო დებულების დასხდომის სხვა მონაწილეთა ყურადღება, რომ ფინანსურად დეტალურად იყო წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ამ კუთხით გაწეული მუშაობის შესახებ.

2024 წელს განათლების განყოფილების ბიუჯეტი 239 ათას ლარს შეადგენდა.

ბიუჯეტი მოიცავდა ორ პროგრამას: ზოგადი განათლების ხელშეწყობის -226 000 ლარი; განათლების ხელშეწყობის საწვდომის გაზრდა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა -70 ათასი ლარი.

ზოგადი განათლების ხელშეწყობისა და მოსწავლეთა კომფორტული გარემოს შექმნის მიზნით, 17 სკოლას მათი მომართვიანობის საფუძველზე გაუწიათ ფინანსური დახმარება, ვაშში -46 528 ლარი.

წარმატებული კურსდამთავრებულების წახალისების პროგრამიდან სულ გაიხარა 124 380 ლარი.

100 %-იანი სახელმწიფო გრანტის მფლობელი 14 კურსდამთავრებული დაფინანსდა -3000 ლარით; 70%-იანი 12 კურსდამთავრებული 1000 ლარით; ხოლო 100%-იან გრანტის მფლობელ თითოეულ კურსდამთავრებულზე დაჯილდოვდა 5 საჯარო სკოლა -ვაშში 16 500 ლარით.

საინტერესო სტატისტიკა წარმოადგინა ქეთევან კვაჭანტირაძემ ოქროს მედალოსანთა წახალისებასთან დაკავშირებით. 2024 წელს ოზურგეთის საჯარო სკოლების 100-მა კურსდამთავრებულმა მოიპოვა ოქროს მედალი.

ოქროს მედალოსანი 100 %-იანი სახელმწიფო გრანტის მფლობელი 11 კურსდამთავრებული დაჯილდოვდა -500 ლარით; 70%-იანი 8 კურსდამთავრებული 400 ლარით; ხოლო დანარჩენი ოქროსმედალოსანი 81 კურსდამთავრებული -300 ლარით...

წარმატებას პარკში გაიმართა წარმატებული კურსდამთავრებულების საზეიმო დაჯილდოება, სადაც დაიხარჯა -17 880 ლარი...

მასწავლებელთა დღესთან დაკავშირებით კი 5 ღვაწლმოსილ პედაგოგს გადაეცათ 500-500 ლარი, ასევე დაჯილდოვდნენ სერთიფიკატებით და ფასიანი საჩუქრებით მასწავლებლების კოლეჯულ ვაილდოზე წარდგენილი 11 პედაგოგი. სულ დაიხარჯა 8 093 ლარი.

საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტერეკციის მიზნით დეკემბერში დაბნასაკრალში მცხოვრები მესხური თემის წარმომადგენელი 30 ქალბატონისთვის ასალციხეში საგანმანათლებლო-შემეცნებითი ტური მოეწყო, რაზედაც დაიხარჯა 8504 ლარი.

2024 წელს არაერთი კულტურული ღონისძიება განხორციელდა. წარმოადგენთ რამდენიმე ციფრს:

სასაქონლო ილუმინაციებისა და დეკორაციების მოწოდებაზე 144 387 ლარი დაიხარჯა; 13 ანგარს სოფელ შემოქმედში გაიმართა გურული ტრადიციული დღესასწაული „კაღანდა 2024“, რომლის მიზანია გურული ტრადიციების აღდგენა-შენარჩუნება და სახალწლო განწყობის შექმნა. ამ ღონისძიებაზე 104 625 ლარი დაიხარჯა.

ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ოზურგეთელი ქალბატონებისთვის ანსამბლ „პათუმის“ კონცერტი გაიმართა, რაზედაც 5000 ლარი დაიხარჯა. 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით სხვადასხვა საინტერესო ღონისძიებაზე კულტურის ხელშეწყობის მუხლიდან 16 500 ლარი დაიხარჯა.

შარშან „ჭადრების ბაღში“, ღია ცის ქვეშ ერთი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის პირდაპირი ტრანსლაცია, რაზედაც ბიუჯეტიდან 54 152 ლარი დაიხარჯა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა დააფინანსა კინო დოკუმენტალისტთა ვაკუფისა და ტვ. „იმედის“ ვადაცემ „ავტორგაფის“ გუნდის, მწერალთა სახლის ერთობლივი პროექტი, რათა შექმნათ დოკუმენტური ფილმი, რომელიც ცნობილი ბრიტანელი მთარგმნელისა და დიპლომატის და-ძმა ოლივერ და მარჯორი უორდროპებს ეძღვნება. საპრემიერო ჩვენება ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე გაიმართება. მუნიციპალიტეტმა აღნიშნული პროექტისათვის 22 850 ლარი ჩარიცხა.

24 ივლისს, დაბა ურეკში, ტურისტული სეზონის გახსნის ღონისძიებაზე 33 000 ლარი დაიხარჯეს, ხოლო 13 ივლისს, შეგვიძლია მუსიკოსთა პარკში გაიმართულ „ჩაის ფესტივალზე“ -95 026 ლარი. საცეკვაო ფორმების შესაკერი ქსოვილი შეუძინეს ქორეოგრაფიულ ანსამბლს -4925 ლარი; საბილწო თარიღთან დაკავშირებით ანსამბლ „აქლონის“ 14 წევრს მერიისგან ჩარიცხათ 17 500 ლარი; ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალზე „ჩვენ მშვიდობა“ -22 510 ლარი და ა.შ.

სპორტისთვის გაწეული დახმარებიდან გამოყოფილი ზოგადი განათლების გაწეულ მნიშვნელოვან დახმარებას (ჩოგბურთის ბურთები და ჩოგნები, მიუნის ალტურვილიობა, ჩოგბურთის ტრენაჟორები და ა.შ.) -119 200 ლარი; სპორტული ღონისძიების ორგანიზება -საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია -5 000 ლარი; წარმატებულ სპორტსმენებზე და მწვრთნელებზე ერთჯერადი ფულადი ვაილი -შესაბამისად 9 600, 3670 ლარი და ა.შ.

ქეთევან კვაჭანტირაძის მიერ წარმოდგენილი ანგარიში საკრებულოს სხდომაზე სათანადოდ შეაფასეს.

შურნალისტების, რედაქტორებისა და მედიამენეჯერების განცხადება მზია ამაღლობელის დაკავშირებასა და საქართველოში არსებულ საშიშროებებზე



შურნალისტები, რედაქტორები და მედიამენეჯერები მზია ამაღლობელის დაკავშირებასა და საქართველოში არსებულ საშიშროებებზე განცხადება გაავრცელეს, რომელსაც ხელს 311 პირი აწერს.

„ონლიან გამოცემების - „პათუმების“ და „ნეტგაზეთის“ დამფუძნებელი და მენეჯერი მზია ამაღლობელი, პირველი ქალი სინდისის პატიმარი შურნალისტი საქართველოში.

მზია ამაღლობელი რუსეთში გაძლიერებული ოლიგარქის, ბიძინა ივანიშვილის რეჟიმისთვის მოუღებელი მუქერობელი შურნალისტი საქმიანობისა და მისი სამაგალითო სამოქალაქო აქტიუზმის გამო იხვევა. მას არ ჩაუდენია ივანიშვილის რეჟიმის მიერ მისთვის ბრალად წადგენილი სისხლის სამართლის დანაშაული.

12 ანგარის შემდეგ, როდესაც ოლიგარქმა ტყვეობაში აიყვანა ჩვენი კოლეგა - მზია ამაღლობელი, თითოეულ ჩვენგანს ემუქრება პროფესიული საქმიანობის გამო დაპატიმრების საფრთხე.

„ქართული ოცნების“ მმართველობის ბოლო წლებში საქართველოში მკვეთრად გაუარესდა მედიამენეჯერების მდგომარეობა. გარდა იმისა, რომ 2024 წლის ზაფხულში მიღებული „რუსული კანონი უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ დასურვის საფრთხის წინაშე აყენებს საქართველოში მოქმედ დამოუკიდებელ მედიამენეჯერებს, უკიდურესად გახშირდა ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან შურნალისტებზე სიტყვიერი შეურაცხყოფისა და ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტები. ამასთან, დაიწყო მედიის წარმომადგენლების მიმართ რუსული სტილის რეპრესიების განხორციელება.

2024 წლის ნოემბერ-დეკემბერში პროფესიული აქტიუზმის გაშუქების დროს, ივანიშვილის რეჟიმის სპეცრაზმელებისა და პოლიციელების მხრიდან შურნალისტებზე ძალადობის 90-ზე მეტი შემთხვევა დაფიქსირდა. „ქართული ოცნების“ საგანგებო უწყებებს არც ერთი ეს შემთხვევა არ გამოუძიებიათ და არ დაუსჯიათ შურნალისტებზე მოძალადეები.

2024-25 წლებში ოლიგარქის რეჟიმმა არაერთი შურნალისტი დააპატიმრა „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ბრალდებით“ და ფულადი ჯარიმების ან რამდენიმედიანი ადმინისტრაციული პატიმრობის შემდეგ გაათავისუფლა ისინი.

ის ფაქტი, რომ მზია ამაღლობელი სისხლის სამართლის „ბრალდებით“ დააპატიმრეს, აჩვენებს, რომ ოლიგარქის რეჟიმი მის მიმართ კრიტიკულად განწყობილი მედიის წარმომადგენლების დევნის ახალ ეტაპზე გადავიდა, რაც შუთითხილი ბრალდებებით შურნალისტების ციხეში დატყვევებას გულისხმობს, როგორც ეს უკვე მოხდა ბოლო წლებში რუსეთში, ბელარუსსა და მეზობელ აზერბაიჯანში.

მოვითხოვთ სინდისის პატიმრის, მზია ამაღლობელის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას! მოუწოდებთ შურნალისტთა უფლებების დამცველ საერთაშორისო ორგანიზაციებს, მეგობარი ქვეყნების დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს, ხმა აიმაღლონ ოლიგარქ ბიძინა ივანიშვილის რეჟიმის მიერ საქართველოში შურნალისტების მასობრივად დევნის ფაქტებზე და დაიცვან მედიის წარმომადგენლები საქართველოში!“ -ნათქვამია განცხადებაში.

ლუკა სარიშვილი მოცარტის სახელობის მე-10 საერთაშორისო კონკურსში წარმატებით გამოვიდა

ქ. თბილისში, წარმატებით დასრულდა მოცარტის სახელობის მე-10 საერთაშორისო კონკურსის პირველი ტური, რომელშიც მონაწილეობდა ოზურგეთის სამუსიკო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლე **ლუკა სარიშვილი**. ლუკა წარმატებით გამოვიდა ამ კონკურსზე და სპეციალისტთა მაღალი შეფასება დაიმსახურა. იგი კონკურსის მე-2 ტურში გადავიდა და შესაბამისი დიპლომითაც დააჯილდოვეს.

ლუკა სარიშვილი სენაკის არტ-ფესტივალისა და კარლ ჩერნის სახელობის მე-2 კონკურსის ლაურიატია (პედაგოგი **ხათუნა ბერიძე**).

ვულთკავთ ლუკას მოცარტის სახელობის მე-10 საერთაშორისო კონკურსის მე-2 ტურში გადასვლას და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს.



ოზურბეითში ტრიპინელოზი დაფიქსირდა

ორგანიზებული ვაჭრობის ადგილებში, სადაც გაურკვეველია ხორცის წარმომადგენლობა, ღორი არ არის დაკლული სასაკლავოზე და, შესაბამისად, უცნობია, არის თუ არა შემოწმებული ტრიპინელოზზე.



„ტრიპინელოზი არის დაავადება, რომელიც ადამიანს, შესაძლოა, დაემართოს მიკროსკოპული პარაზიტით, ტრიპინელოზით ინფიცირებული ცხოველების უში ან თერმულად არასაკმარისად დამუშავებული ხორცის საკვებად მიღებისას. ძირითადი ფაქტორი ღორის ხორცია, თუმცა რეზერვუარი, შესაძლოა, იყოს სხვა გარეული ცხოველი და ცხენი.

ტრიპინელოზის კლინიკური ნიშნებია: თავის ტკივილი, ცხელება, შემცივება, ხველა, სახის და თვალის შეშუპება, სახსრებისა და კუნთების ტკივილი, კანის ქავილი. პირველ სიმპტომებს, შეიძლება, ახლდეს დიარეა ან ყაბზობა. დაავადების მიმდებარე მიმდინარეობას ახასიათებს კოორდინაციის დარღვევა, გულის და სუნთქვის პრობლემები“.

აღნიშნულია განცხადებაში.

აღნიშნულ ფაქტზე გაზეთ

„ალიონს“ სურსათის ეროვნული სააგენტოს სოფელ ოზურგეთის მცხოვრებმა მანანა ერქომ-აიშვილმა ესუბრა:

„ტრიპინელოზით დაავადებული მამაკაცი სოფელ ოზურგეთის მცხოვრებია. ზუსტად ვერ აკონკრეტებს, სად იყდა კუპატი თუ ღორის ხორცი. ხან რასა ამბობს და ხან რას: „ვიღაც ქალისგან ვიყიდეთ ხელში ეჭირაო ბაზრის მიმდებარელო.

კუპატი ერთი თვის წინ ვჭამო“ არ არის დასაყრდენი მისი სიტყვები. ამ ეტაპისთვის წყარო უცნობია. საინტერესოა კიდევ თუ აღმოაჩნდება ვინმეს. ამით კიდევ შეიძლება დაავადების წყაროს მახლოებითი დადგენა. თუ სადმე შეიძინა ღორის ხორცი ეს იქნება არაკონტროლირებად ობიექტზე ანუ არაორგანიზებულ ადგილას ნაყიდი, ამიტომაც რომ სულ რომ გამოვთვალოთ ისეთ ადგილებში პროდუქტების შექმნა განსაკუთრებით ხორცისა და რძის პროდუქტების, სადაც არ ხდება კონტროლი, სახიფათოა. ხორცი და ხორცის პროდუქტები სარეალიზაციო მაღაზიაში უნდა შეიძინონ.

ხანდახან ტრიპინელოზი ძალიან მძიმედ მიმდინარეობს და ლეტალური შედეგითაც მთავრდება. ეს დაავადება ადამიანიდან ადამიანზე არ გადადის.

ამ შემთხვევაში კონკრეტული პაციენტი თბილისში, პარაზიტოლოგიის ინსტიტუტის სპეციალისტების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება – გვითხრა მანანა ერქომაიშვილმა.

ლანჩუთის მერმა მერიის წარმომადგენლებთან უხვედრა გაგართა



ლანჩუთის მერმა ადმინისტრაციულ ერთეულებში მერიის წარმომადგენლებთან უხვედრა გამართა. ალექსანდრე სარიშვილმა თითოეულ სოფელში არსებულ საჭიროებებთან დაკავშირებით მოისმინა ინფორმაცია. წარმომადგენლებთან ერთად განიხილა სოფლებში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები. ამ დროისთვის სოფლებში სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში ნაპირსამაგრიების მოწყობა მიმდინარეობს. ასევე გრძელდება შიდა გზების მოწესრიგება. მათ შორის, ჯვარუწყეთის ადმინისტრაციულ ერთეუ-

ლში მიმდინარეობს სანიაღვრე არხების მოწყობა. შეხვედრაზე ასევე განიხილეს სოციალური და ჯანდაცვის მიმართულებით ის პროგრამები, რომლებიც 2025 წლის ბიუჯეტით დაფინანსდება.

ალექსანდრე სარიშვილმა დაავალა თითოეულ წარმომადგენელს მაქსიმალური ყურადღება გამოიჩინონ მოქალაქეებისა და მათი საჭიროებების მიმართ. შეხვედრას ლანჩუთის მერიის პირველი მოადგილე ვახტანგ გუგუაძე და მოადგილე თორნიკე ტიკაძე ესწრებოდნენ.

ბახვი ჰუმის ტრენინგები საჯარო სკოლებში 2025 წელსაც გრძელდება



მთისპირის საჯარო სკოლა და გიორგი ბარამიძის ტრენინგი

არაფორმალური საგანმანათლებლო სწავლების მიმართულებით, განახლებადი ენერჯის, გარემოსდაცვისა და პროფესიული ორიენტაციის ტრენინგ კურსი, რომელიც სპეციალურად მთისპირისა და ჩხაკურას საჯარო სკოლების უფროსკლასელთათვის შეიქმნა, წელსაც გრძელდება. ბახვი ჰუმის გარემოსდაცვითი და სოციალური პროგრამის პროექტების მიმართულებით ეს ერთ-ერთი პირველი ინიციატივაა, რომელიც კომპანიის გარემოსდაცვისა და სოციალური პროექტების გუნდმა განახორციელა. ტრენინგები ჯერ მთისპირის სკოლაში დაიწყო (2021 წლის სექტემბერი), მოგვიანებით კი, ჩხაკურას საჯარო სკოლაშიც განხორციელდა (2022 წლის მარტი). სამი წელია, რაც უფროსკლასელები იმაღლებენ ცნობიერებას გარემოსდაცვით და განახლებადი ენერჯის საკითხებზე. ახალგაზრდები ჩართულნი არიან სხვადასხვა გარემოსდაცვით პროექტში, იქნება ეს ხეების დარგვა, ტერიტორიების დასუფთავება, თუ ცოდნის გაზიარება. სკოლებს ჰყავთ ეკოლენები, რომელთა შერჩევა ფარული კენჭისყრით მოხდა და რომელთა მოვალეობა, სოფლებში გარემოსდაცვითი აქტივობების დაგეგმვა და წარმოება. ტრენინგები თვეში ერთხელ, სპეციალურად მათთვის

შექმნილი კურიკულუმის მიხედვით, ტარდება.

გარემოს დაცვით საფუძვლების მოდულს ტრადიციულად უძღვება გიორგი ბერეჩიკიძე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ტყის მოვლა-ადგილის დეპარტამენტის ტყის დაცვის სამმართველოს უფროსი; კომუნიკაციების შესახებ შეხვედრას ატარებს **სათუნა იოსავა**, საზოგადოებასთან ურთიერთობის ექსპერტი, კავკასიის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი 2015 წლიდან. კომუნიკაციის ლექციის ფარგლებში, ახალგაზრდებს ტრენინგი ესაუბრება მელაზე, მის როლსა და ფუნქციაზე საზოგადოებაში, ასევე, სწავლობენ თუ როგორ განასხვავონ ნამდვილი და გამოგონილი, გაყალბებული ამბავი ერთმანეთისგან. კურსის მსმენელებს განახლებადი ენერჯის მიმართულების ახალი ტრენინგი, **ნინო მალრაძე** ჰყავთ. ნინო, ბახვი ჰუმის ინვესტორი კომპანიის, კავკასიის განახლებადი ენერჯის პოლინიგის (CCE) უფროსი ბიზნეს ანალიტიკოსია. მისი ლექციები ფარავს ისეთ თემებს, როგორცაა განახლებადი ტექნოლოგიები, როგორცაა მზის, ქარის, ჰიდროენერჯის და ა.შ მუცნიერული საფუძვლები. ის მიმოიხილავს

პრაქტიკულ მაგალითებს, რომელიც დაკავშირებულია მათ შორის საქართველოში არსებულ პროექტებთან.

„დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისთვის განკუთვნილი კურსი „მდგრადი ენერჯეტიკა“ გააცნობს ახალგაზრდებს განახლებად და წიაღისეულ საწვავზე მომუშავე ენერჯის წყაროების ფუნდამენტურ ცნებებს, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება მდგრადი განვითარების მიდგომების გარემოსდაცვით და ეკონომიკურ სარგებელზე. ასევე, განვიხილავთ ენერჯეტიკა-ქიმიკატებისა და ინოვაციების მნიშვნელობას, რაც ენერჯი მოხმარების შემცირებას უწყობს ხელს. მოსწავლეები მიიღებენ ცოდნას გლობალური კლიმატის ცვლილების გამოწვევების შესახებ და გაიგებენ, როგორ შეიძლება მდგრად ენერჯეტიკაზე გადასვლამ გადაჭრას ეს პრობლემები. იმედი მაქვს, რომ კურსი წახალისებს ადგილობრივ ჩართულობას და აჩვენებს, როგორ შეუძლია განახლებად ენერჯის სარგებელი მოუტანოს მათ თემს და შექმნას შესაძლებლობები მდგრადი მომავლისთვის“ – ამბობს ჩვენთან საუბარში **ნინო მალრაძე**.

მეგი კაპანაძე მთისპირის საჯარო სკოლის მეთვალყურე კლასის მოსწავლეა. ის უკვე მეორე წელია ესწრება ბახვი ჰუმის ტრენინგ პროგრამას.



მეგი კაპანაძე - მთისპირის საჯარო სკოლის მოსწავლე

ამბობს, რომ ბევრი ახალი გაიგო ამ ლექციების დახმარებით.

„სწავლის პროცესი, ჩვენი ტრენინგების დახმარებით, საკმაოდ დინამურად და ნაყოფიერად მიმდინარე-

ობს. ისინი არა მხოლოდ ცოდნისა და უნარების განვითარებაში გვეხმარებიან, არამედ გვასწავლიან ურთიერთობებს, ხელს გვიწყობენ, ერთმანეთთან კომუნიკაციის გაუმჯობესებაში. აქ მიღებულმა ცოდნამ მომცა იმის შესაძლებლობა, დაინტერესებულიყავი გარემოსდაცვითი და განახლებადი ენერჯის თემებით. პროფესიის არჩევის კუთხითაც ჩამოვყალიბდი. უკვე ვიცი, რომ აუცილებლად ერთ-ერთ იმ მიმართულებას ავირჩევ, რომლის შესახებაც ტრენინგების მეშვეობით ვაგიგე. თავისუფლად შემიძლია ვთქვა დღეს, რომ კომპანია ბახვი ჰუმის მერ ორგანიზებულმა ტრენინგებმა, ასევე ადამიანებმა, რომლებიც გვასწავლიან ამ პროგრამის ფარგლებში, ჩემს შემთხვევაში, შეძლეს პროფესიის არჩევასთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხის გაცემა“ – **მეგი კაპანაძე**, მთისპირის საჯარო სკოლის მოსწავლე.

ალსანიშნავი ფაქტია, რომ ტრენინგის გავლით ახალგაზრდებზე დიდია. მაგალითად, 2024 წელს სწავლის გარეშე გარემოსდაცვის მიმართულებით 2 აბიტურიენტმა გადაწყვიტა. ისინი უკვე პირველი კურსის სტუდენტები არიან და **ჯაბა ბოლქვაძესთან** ერთად, რომელიც უკვე მესამე კურსზეა და ელექტრონიკის ინჟინერია უუფლებს თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტში, კომპანიის სტუდენტური გრანტის პროგრამით სარგებლობენ.

„გარდა იმისა, რომ ჩვენ ტრენინგებზე მოსწავლეები გარემოს დაცვის, განახლებადი ენერჯის, მათი გონივრულად გამოყენების შესახებ ცოდნას იძენენ, ვთვლი, რომ ამ კურსის მთავარი მიღწევა სწორედ ეს არის, რომ მთისპირელ და ჩხაკურელ ბავშვებში ენერჯეტიკის პროფესიის მიმართ ინტერესი გაჩნდა და რამდენიმე მათგანმა საკუთარი მომავალი ამ სფეროს დაუკავშირა. ძალიან მიხარია, რომ ამ საკითხშიც კომპანია ბახვი ჰუმის თანხვედრა გვაქვს და მათი პროგრამა ამ კუთხით განვითარებაში ეხმარება ადგილობრივებს. ბახვი ჰუმს აქვს პროგრამა, რომელიც სტუდენტურ გრანტებს მოიცავს. ბავშვების, რომლებიც დაინტერესდებიან გარემოსდაცვითი ან საინჟინრო პროფესიებით, მათი სწავლის საფასურის 80%-ს კომპანია



ნინო მალრაძე - კავკასიის განახლებადი ენერჯის პოლინიგის (CCEH) უფროსი ბიზნეს ანალიტიკოსი

აფინანსებს. ეს კი, გადასარევი საშუალებაა იმ ახალგაზრდებისთვის, რომელთაც სწავლის გარეშე და საინტერესო პროფესიის დაუფლება სურთ. ყოველწლიურად ვვითარდებით, იხვეწება სწავლების როგორც მეთოდები, ასევე პროგრამა. ძალიან მასხარებს, რომ აქ ამ სკოლებში, არის ისეთი პროექტი, როგორც ბახვი ჰუმი და მისი თანამშრომლები არიან. მათ ძალიან კარგად ესმით თუ, რა დიდი მნიშვნელობა და გავლენა აქვს პროექტის ეფექტიანობაზე მის მდგრადობას. სამი წელი გავიდა, რაც პროექტი არსე-



სათუნა იოსავა, ტრენინგ კურსის ორგანიზატორი და ტრენერი.

ბობს, რამდენიმე თაობამ ვაიარა უკვე ჩვენს ხელში“ – აცხადებს **სათუნა იოსავა**, ტრენინგ კურსის ორგანიზატორი და ტრენერი.

დაფინანსებული ვართი

ოზურგეთის კარგი კაცი დააკლდა



ახალი წლის წინა დღეებში ოზურგეთის მოულოდნელად ერთი კარგი კაცი – გასული საუკუნის 80-იანი წლების საუკეთესო ბირთვისმკვრელი, საქართველოს არაერთგზის ჩემპიონი, შემდგომში ცნობილი ფერმერი და საჯარო მოხელე, შემოქმედელი **ბესიკ ლომინაძე** გამოაკლდა.

გასული საუკუნის 70-იან, 80-იანი წლებში ოზურგეთელი მძლეოსნები წარმატებით გამოდიოდნენ როგორც რესპუბლიკურ, ისე საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებზე. ამაში დიდი წვლილი მიუძღვოდა მძლეოსნობის ცნობილ მწვრთნელს ჟორა ერქომაიშვილს. ბესიკ ლომინაძეც ოზურგეთის სპორტსკოლის ერთ-ერთი წარმატებული მოსწავლე იყო, რომელიც ათეულობით მნიშვნელოვანი ტურნირის გამარჯვებული გახლდათ საქართველოს ზამთრისა და ზაფხულის ჩემპიონატებზე, სტუდენტურ-სპორტულ თამაშებზე თუ საკავშირო პირველობებზე.

ტექნიკური უნივერსიტეტის მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი დაამთავრა და ოზურგეთში №5 სამშენებლო სამმართველოში მუშაობდა.

მან გარკვეული წლები გაატარა საჯარო სექტორში. 2010-2016 წლებში იყო სოფელ შემოქმედის გამგებელი, ხოლო მას შემდეგ, რაც კურორტ გომისმთას დაბის სტატუსი მიენიჭა და სოფელ შემოქმედს გამოეყო, იგი ახერხებდა ოზურგეთის მერის პირველი წარმომადგენლად დაინიშნა დაბა გომისმთაზე.

ბესიკ სოფელ შემოქმედის გამგებელი იყო, სახალხო დღესასწაულს „გომისმთობას“ რომ ჩაეყარა საფუძველი. ნამდვილად დასამახსოვრებელი იყო სტუმრებისათვის აქ გამართული სპორტული შეჯიბრებები, განსაკუთრებით დოღში...

2019 წლიდან კურორტ გომისმთაზე ძალიან რთული მდგომარეობა შეიქმნა. სააგარაკო ადგილების მძიმელები საქართველოს თითქმის ყველა რეგიონიდან შეესივნენ კურორტს, რაზეც მერის წარმომადგენლებმა დაბა გომისმთაზე მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურთან ერთად მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს ამ პროცესების შესაჩერებლად და დასარეგულირებლად. ამ თემაზე ბესიკ გაზეთ „ალიონს“ ვრცელი ინტერვიუც მისცა.

– გაუმარჯოს გომისმთას „რკოლებს“ ვარეშე! ჩვენ მივალფრეთ ამას! – ეს სიტყვები ბესიკს ეკუთვნის.

ბესიკ მონაწილეობდა გომისმთის გზის რეაბილიტაციის პროექტში. მისი ინიციატივით ტურისტული კომპანიები შესაბამის ნიშნულებს ღებდნენ კურორტის ტურისტულ გზებსა და ბილიკებზე. ბესიკს წინაპრები მეცხოველეობასთან იყვნენ დაკავშირებული და ოჯახური ტრადიციებიც ჰქონდათ. ძალიან გულითადი და მეგობრული ურთიერთობები აკავშირებდათ მეზობლებს აჭარის მცხოვრებლებთან, განსაკუთრებით შუახევლებთან, – ჭვანჭვლებთან. გომისმთაზე ახლაც იგონებენ თომა და ასლან ლომინაძეებს.

ბესიკს ძალიან უყვარდა მეცხოველეობა და თანდათან გააძლიერა ფერმერული მეურნეობა. გომისმთისკენ მიმავალი მთის ყველა ბილიკი ზეპირად იცოდა.

– ჩვენი საზაფხულო კარავი „მზოს ნაკარავის“ ქვემოთ „ლორის კარავის“ ტერიტორიაზე დგას, სადაც ბესიკ მთრი მანძილიდან შეიყვანა სასმელი წყალი, ელექტროენერგია, გზაც გააჭრეს და იქ ყოფნის ელემენტარული პირობები შექმნა. ვე არის, ნადრევი თოვლის მოსვლის შემთხვევაში ბარში ჩამოსადენად პირუტყვის აძოვანა ჰქონდა, ამიტომაც გვემუდებოდა ბესიკ „მზოს ნაკარავის“ ადგილს – გვიყვება ბესიკ მუდღე, სოფელ შემოქმედის ოჯახის ექიმი **ანა მისურაძე**.

– ბესიკს ძირითადი ფერმა მოლიანში ჰქონდა, სადაც მას 2 მწყემსი ეხმარებოდა. მალეა ლლონტი 15 წლის იყო ფერმაში რომ მოვიდა და 17 წელია ჩვენთან მუშაობს... სხვა სოფლების ფართობებისგან განსხვავებით არ რჩებოდა მოლიანს დასუფლავი. კარგად ფლობდა ტექნიკას. ზნაზნა, თესვა-ავლა, ჩვენს თანასოფლელებს შემოედგინებოდა ნაღობში სიმინდი ჰქონდათ...

იგი ყოველდღე დადიოდა მოლიანში. წასვლისას იტყობდა: – ბიჭებს დახმარება დასჭირდებათ... მან ყველაფერი იცოდა, რაც მეცხოველეობისთვისაა საჭირო. მის რთულ საქმიანობას პატარა ცეცხლი და ვედილობი გვერდით დაეყვებოდა. ბოლო ორი წელია ხშირად დავეხვები გომისმთის საზაფხულო საძოვრებზე. საქონლისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი ახსოვდა. მახსოვს, საღამოხანს ხბოიანი ფურები რომ დაათვალიერებ, მწყემსს უთხრა:

– მაკო, იმ ფურს (მუთითა) ხბო აკლიარა თქმა უნდა მოძებნეს და აბოეს. მთორედ მეზობელ კარავთან გაეღიას, ჩვენი ფერმადან დაკარგული ხბო შუბლზე ნიშნით იცნო... ასეთი მაგალითები ბევრი იყო...

ერთ წელს ნადრევიც მოვიდა თოვლი. 10-მდე გამოცდილი კაცი წაიყ

ვანა მთაში დარჩენილი მწყემსების დასახმარებლად. ისეთი ადგილების გავლა მოუწიათ, ცულებით ჭრიდნენ ბილიკს...

ბესიკს ძალიან უყვარდა ცხენების რეპეტიცია. წინა წელს ცუდ ამინდში მოუწიათ მათი ბარში გადმოტყუვა. ცხენები ორად გაიყვნენ და მხოლოდ ერთი ვეგუფი ჩამოიყვანეს. 30-მდე ცხენი თოვლში მოიჩინა. არც წყალი ჰქონდათ და არც საკვები. მაღალი ელექტრო გადამცემი ხაზის მშენებლებს სთხოვა ბესიკ დახმარება. ტრაქტორით მიიკვლევდნენ მაღალ თოვლში გზას. ყველა ცხენი უვნებლად ჩამოიყვანეს.

ბესიკს განსაკუთრებულ პატივს სცემდა მთის ტრადიციები. მამა-ბაბუის მსგავსად ისიც მეგობრობდა გომისმთის იაილებზე (აჭარელი მწყემსების საზაფხულო სადგომი) მყოფ მწყემსებთან. ბევრი მეგობარი ჰყავდა ჭვანას ხეობაში. ვალერი და ზებური ქარცივაძეების ოჯახთან მეგობრობა თაობებში ვრცელდება. საერთოდ, კეთილი კაცი იყო. უყვარდა სხვისთვის საამოვნების მინიჭება-გვითხრა მუდღე, ქალბატონმა ანა მისურაძემ.

ანა და ბესიკი 1992 წელს დაქორწინდნენ. ჰყავთ ორი ქალიშვილი: ვანცა და თამარი (ოზურგეთში „საქართველოს ბანკში“ და ბანკი „კრისტალი“ მუშაობენ). სიძეები ვიორგი კალანდარიშვილი და ვიორგი მახარაძე ახლა ბესიკს დიდ საქმეს აგრძელებენ. შვილიშვილები – დავითი, სანდრო და თომა (ამ დღეებში დაიბადა), ბაბუს სახელს არ დაივიწყებენ.

ბესიკზე ბევრი კარგი გეითხრეს, ოზურგეთის სპორტის განვითარების ცენტრის თანამშრომელმა **ამირან ვაშლიანი** და მაკანეთელმა **ნუგზარ კალანდარიშვილმა**.

– მაგარი და გვერდში მდგომი კაცი იყო. ყველას გვემეღებოდა. შრომისა და კარგი საქმის კეთილმოხედვის იყო შექმნილი. 56 წლისამ ნადრევიც დავეტოვა. ძალიან დააკლდა ჩვენს ოზურგეთს – გვითხრეს მათ.

ნუგზარ ასათიანი

საშვილოსნოს ყელის კიბო

საშვილოსნოს ყელის კიბოს შესახებ ცნობიერების ამაღლების კვირის მიზნად საზოგადოების ცნობიერების ამაღლება საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის, ადრეული დიაგნოსტიკის და სკრინინგის, ადრეული მკურნალობის მნიშვნელობის, აგრეთვე, ადამიანის პაპილომავირუსის (აპვ) საწინააღმდეგო ვაქცინაციის, როგორც კიბოს პრევენციის მნიშვნელოვანი ღონისძიების შესახებ.

საშვილოსნოს ყელის კიბოს შემთხვევათა 95%-ზე მეტი დაკავშირებულია ადამიანის პაპილომავირუსთან.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მონაცემებით, გლობალურად, საშვილოსნოს ყელის კიბო მეთხუთხედ ყველაზე გავრცელებული კიბოა ქალებში. 2022 წელს, საშვილოსნოს ყელის კიბოს დაავადებით 660 000 ქალი დაუდინდა, ხოლო სიკვდილის შემთხვევებმა 350 000-ს მიაღწია.

საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის ყველაზე ეფექტური ინტერვენციებია ადამიანის პაპილომავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია (პირველადი პრევენცია), საშვილოსნოს ყელის კიბოს რეგულარული სკრინინგი და კიბოსწინარე მდგომარეობის მკურნალობა (მეორადი პრევენცია).

სკრინინგის მიზანია ჯანმრთელი პოპულაციის გამოკვლევა და ადრეული სიმპტომების გამოვლენამდე ცვლილებების აღმოჩენა, რაც ეფექტური მკურნალობის და განკურნების საშუალებას იძლევა.

სიტუაციური მიმოხილვა - საქართველო

საქართველოში საშვილოსნოს ყელის კიბო მიეკუთვნება მაღალი ავადობის მქონე ავთვისებიან დაავადებებს. 2023 წელს საშვილოსნოს ყელის კიბოს შემთხვევების წილმა ყველა ლოკალიზაციის კიბოს 4.8% შეადგინა; ინციდენტობის მაჩვენებელია 15.8/100 000 ქალზე. სიკვდილიანობის მაჩვენებელს შემცირების ტენდენცია აქვს.

საქართველოში საშვილოსნოს ყელის კიბოს ასაკ-სპეციფიკური ინციდენტობა ასაკთან ერთად მატულობს და მაქსიმუმს 55-59 წლის ვაგუფში აღწევს (2023 წ.). საქართველოში მოქმედებს „დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი“ სახელმწიფო და „დაავადებათა სკრინინგი“ მუნიციპალური პროგრამები, რომლის ფარგლებში ხორციელდება ბუბუს, საშვილოსნოს ყელის და მსხვილი ნაწლავის კიბოს სკრინინგი. სკრინინგი ხელმისაწვდომია საქართველოს ყველა რეგიონში და უფასოა მიზნობრივი პოპულაციებისათვის.

საშვილოსნოს ყელის სკრინინგი ტარდება 25-60 წლის ქალებში 3 წელიწადში ერთხელ და მოიცავს: ოჯახის ექიმის და/ან გინეკოლოგის მიერ გასინჯვას/დათვალიერებას და ნაცხის აღებას; 25-დან 30 წლამდე ქალებში პაპ-ტესტის (PAP-ტესტი) ჩატარებას ბეტესტას მეთოდზე დაყრდნობით; ადამიანის პაპილომავირუსის დნმ-ის განსაზღვრის ტესტის ჩატარებას 30 წლიდან 60 წლის ასაკის ჩათვლით ქალებში; V ტესტით დადებითი შემთხვევების ტრიაჟს ციტოლოგიური კვლევის საფუძველზე; pap და/ან HPV ტესტით პათოლოგიური

ცვლილებების შემთხვევაში კოლპოსკოპიას. საჭიროებისას ბიოფსიური მასალის აღებას და ჰისტოლოგიურ გამოკვლევას. **საქართველოში ადამიანის პაპილომავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია (აპვ) საზოგადოებრივი პროფილაქტიკური აკრების საიში შედის.** პროფილაქტიკური აკრების ეროვნული კალენდრის მიხედვით, აპვ-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ტარდება 10-11-12 წლის გოგონებსა და ბიჭებში. ვაქცინაციის დაწყების მინიმალური ასაკია 9 წელი. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, დამატებითი ღონისძიების სახით, ვაქცინაცია ასევე ტარდება 13 - 45 წლის გოგონებსა და ქალებში და 13 - 26 წლის ბიჭებსა და მამაკაცებში. ვაქცინაციის ჩატარება შესაძლებელია იმუნისაციის სერვისის მიწოდებულ სახელმწიფო დაწესებულებებში.

დღეიდან, ვაქცინაცია უკვე შესაძლებელია აპვ-ის 9-ვალენტური, რეკომბინანტული ვაქცინით.

ადამიანის პაპილომავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია, როგორც კიბოს პრევენცია

ადამიანის პაპილომავირუსი (აპვ) ფართოდ გავრცელებული ვირუსული ინფექციაა, რომელიც იწვევს კანის ან ლორწოვანი გარსების (მაგ. საშვილოსნოს ყელის ან სასქესო ორგანოების) ინფიცირებას. აპვ-ის 200-ზე მეტი ტიპი არსებობს.

აპვ-ის ზოგიერთი ტიპი იწვევს სასქესო ორგანოების მეტეკების, კიბოს და

კიბოსწინარე მდგომარეობების განვითარებას. საშვილოსნოს ყელის კიბოს 95%-ზე მეტი დაკავშირებულია ადამიანის პაპილომავირუსთან. ის, ასევე ასოცირებულია უკანა ტანის, სასქესო ორგანოების, თავისა და კისრის კიბოსთან, როგორც ქალებში, ასევე მამაკაცებში. იშვიათ შემთხვევაში, ვირუსი იწვევს სასუნთქ გზების მეტეკისმსგავარი წარმოქმნის განვითარებას (ვლინდება ხმის დარღვევით), რომელიც მორეციდივე რესპირატორული პაპილომატოზის (RRP) სახელით არის ცნობილი.

აპვ სექსობრივი გზით გადადები ყველაზე გავრცელებული ინფექციაა. აპვ-ის გადაცემა ხდება ვირუსის მქონე ადამიანის ინფიცირებულ კანთან, ლორწოვანი გარსებთან ან ორგანიზმის სითხეებთან პირდაპირი კონტაქტის მეშვეობით. აპვ-ის 40-მდე ტიპი სექსობრივი გზით (ნებისმიერი სახის ინტიმური კონტაქტი, როგორცაა ვაგინალური, ორალური ან ანალური სექსობრივი აქტი) ან გენიტალიებთან შეხება) გადაეცემა. ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე, აპვ-ის ერთი ან მეტი სექსობრივი გზით გადადები ტიპით 10 მამაკაციდან და ქალიდან დაახლოებით 8 ინფიცირდება. აპვ-ის ინფექციის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები 25 წლამდე ასაკის სექსობრივად აქტიურ მამაკაცებსა და ქალებში ფიქსირდება.

აღსანიშნავია, რომ სექსობრივი ცხოვრების დაწყებამდე აპვ-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის ჩატარება ინფიცირების რისკს მნიშვნელოვნად ამცირებს, რადგან ვაქცინები უზრუნველყოფენ დაცვას აპვ-ის ყველაზე გავრცელებული ტიპებისაგან, რომლებიც საშვილოსნოს ყელის კიბოსა და გენიტალური მეტეკების ათი შემთხვევიდან ცხრის გამოწვევას მიზეზს წარმოადგენენ. საქართველოში აპვ-ის

საწინააღმდეგო ვაქცინაცია საზოგადოებრივი პროფილაქტიკური აკრების საიში შედის პროფილაქტიკური აკრების ეროვნული კალენდრის მიხედვით, აპვ-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ტარდება 10-11-12 წლის გოგონებსა და ბიჭებში. ვაქცინაციის დაწყების მინიმალური ასაკია 9 წელი.

ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, დამატებითი ღონისძიების სახით, ვაქცინაცია ასევე ტარდება 13 - 45 წლის გოგონებსა და ქალებში და 13 - 26 წლის ბიჭებსა და მამაკაცებში. ვაქცინაციის ჩატარება შესაძლებელია იმუნისაციის სერვისის მიწოდებულ სახელმწიფო დაწესებულებებში. აპვ-ის 9-ვალენტური, რეკომბინანტული ვაქცინა „გარდასლი 9“ პრეკვალიფიცირებულია ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ.

„გარდასლი 9“ ნაჩვენებია პირებისთვის 9 წლის ასაკიდან აპვ-ის 9 ტიპით (6, 11, 16, 18, 31, 33, 45, 52, 58) გამოწვეული შემდეგი დაავადებების წინააღმდეგ აქტიური იმუნისაციისთვის:

ვაქცინაცია რეპუბლიკულ სპრინგთან ერთად საშვილოსნოს ყელის კიბოსთან დაკავშირებული მემკვიდრეობისთვის!

აპვ-ის ვაქცინაცია!

ჩაიტარე სპრინგში შპსი ჯანმრთელობისთვის!

არჩილ მამია, დეკანოზის განყოფილების უფროსი

როგორ გავხდი და აღარ ვარ გამოცემილი



პო, დღეს 13 მარტია - ის დღე, როცა ჩემი საყვარელი გამოცემილი დაიბადდა. ათი წელი ვეძებ ამ საქმეს ისე, რომ სკამიც კი არ გავცდა - რა თქმა უნდა, იმიტომ რომ დაჯდომის დრო არ მქონდა! მუხლჩაუხრელად კი არა, თავდაუხრელად ვემუშავებდი, სანამ ერთ მშენებელ დღეს არ გაგიფიქრე - „კარგი, მგონი დროა წავიდე“.

არა, ნუ გაიფიქრებ რომ გაიქცევი! უბრალოდ... სტრატეგიული უკანდახვევა მოგვალა. ვერ მოხდებოდა „დაგვიკითხე“ - სასკოლო წიგნების განყოფილებაში (სადაც ბავშვების ნაცვლად წიგნებს ვასწავლიდით, როგორ უნდა ყოფილიყვნენ უფრო საინტერესოები). მერე კი, როგორც ჰქვიათ კაცმა, საჯარო სამსახურში გადავბარდი - დროებით, როგორც მამინ მგონა. ახლა კი ვხვდები, რომ ეს „დროებითი“ პენსიაზე გავრბოდებოდა (თუ პენსია მანამ არ გაიქცა ჩემგან!).

ვერ ამ სტრიქონებს ისე დავუარცხნავდი, როგორც ჩემი აზრები მდის - მაგრამ მინც უფრო დაღაგებულად ვიგრძენი ჩემი ცხოვრების ის პერიოდი იყო. წისქვილის ქვაზე კი არ ვფიქრობ - რა უნდა ჩემს თავზე, მაგრამ რა ვქნა, როცა თვითონ მოვიდა! გამოცემლობა არც მონური შრომა ყოფილა და არც დღითიერი სასჯელი (თუცა ზოგჯერ ორივეს ძალიან ჰგავდა). ეს იყო ჩემი მერე ოჯახი - თბილისური ოჯახი, სანამ საკუთარი შექმნილი. როგორც ყველა კარგ ოჯახში, აქც იყო თავისი დრამა, კომედია და ტრაგიკომედია.

არ დავიწყებ იმის მოყოლას, როგორი გენიოსი ვიყავი დღის მუცელში (კიდევ კარგი არავინ მუხუბნებდა: უკვე მამინ ვკითხულობდი). არც იმას მოგვებით, როგორ ვაოცებდი ყველას ჩემი სიბრძნით ბავშვთა (სინამდვილეში უბრალოდ ჩემად ვივსებდი) და ნაცვლებს ვკვამდი: მორიდებით და მცირე ლუკმებდა).

მხოლოდ ორ ადამიანს ვაგინებ ჩემი სტუდენტობის წინა პერიოდის პირველი გახლავთ ერთი ვურული გოგო, რომელმაც მისაღებ გამოცდაზე გალაკტიონის პატრიოტული ლექსები ისეთი არტისტიკით მიკარნახა, რომ თვითონ გალაკტიონიც კი იტყობდა - „ეს როგორ დამიწერიაო!“! წერტილ-მძიმეობით ისე მანიშნებდა, გვერდებოდა მორჩეს ანაზის სწავლობდა პარალელურად. მერე კი იყო ერთი გოგო - ჩემი კონკურენტი აბიტურიენტის და, რომელმაც ისეთი რწმენით მომიპირა ხელი და ჩამწეროლა „აუცილებლად ჩააბარებო!“ რომ იმ წუთას მგხვდი - თუ ვერ ჩააბარებდი, ეს ხელის მომჭირი გოგო მომხმნებდა და უარესს მიხმამდა! ასე რომ, ჩააბარე - თავის გადარჩენის მიზნით! ამ ორმა ადამიანმა ისეთი კვალი დატოვა ჩემს წინა სტუდენტურ ცხოვრებაში, რომ დღესაც კი, როცა წერტილ-მძიმეს ვხვდავ ან ვიღაც ხელს მართმევენ, გული საგულეს აღარ ჩრვდება!

წიგნების სუნი

